№ 164, კვირა, 6 აპრილი. 1896—1897 კვირა, 6 აპრილი, № 164.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა“ გამოვა, ბზობის დღესასწაულის გამო, სამშაბათს, 8 აპრილს.

ხელისმომწერთა საყურადღებოდ

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია მარტში (შეღავათიანის ვადით ხელის-მომწერთ)

პირველ აპრილიდან გაზეთი არ გაეგზავნება.

დღეიდან გაზეთი წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»

ღირს ხუთი |5| მანათი.

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას

ხე-ტყის ქარხანა

კოდორი, სოხუმის ოლქში

ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია სახერხი მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.

ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს

წაბლის ფიცრებს

ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისა.

✦ ფასი მასალებისა მეტად იაფია ✦

დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.

მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—68)

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. იმათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი).

ვ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი თვალისა და ნერვებისა.

ექ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და 1½—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. შუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. შუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 6½—7½ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ბ თოფურია.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ქ. გერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. პ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

ამკურნალოს დირექტორი ს.ბ. თოფურია. (წ.)

კბილის ექიმი

გ. ი. ჯიჯინაძე

ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინოვისა, 21

„ივერიის“ რედაქციის ქვევ.

ავადმყოფებს მიიღებს დილის 9—3 და საღამოს 4—7 საათამდე.

ახალი ამბავი

⁂ **ქალაქის ამომრჩეველთა სიების გამო.** ქალაქის გამგეობას, 4 აპრილს, წარუდგენია ბ. გუბერნატორისათვის შესწორებულნი ამომრჩეველთა სიები. სხვათა შორის, ახალს სიებში მოყვანილია ცნობები იმის შესახებ, თუ რომელი ვაჭარი რით ვაჭრობს, ანუ რამდენი ხანია შეიძინა ამომრჩევლის უფლება და რა საბუთით. ქალაქის მოურავი სთხოვს გუბერნატორს, რომ სიები მალე იქმნან განხილულნი და დროით დაუბრუნდეს ისევ გამგეობას, რომ 18 აპრილს გამოცხადდნენ, ე. ი. ერთის თვით წინ ქალაქის არჩევანებამდე.

⁂ **გადამდებ სენით ავად-მყოფთათვის ფარდულები.** ქალაქში ფარდულების აშენების შესახებ, 3 აპრილს, თათბირი ჰქონდათ ქალაქის გამგეობას, ხმოსან-ექიმებს და ტეხნიკებს; ამ თათბირზე გარდაწყვიტეს, რომ ამ თავითვე აშენდეს ერთი ფარდული 12—14 ავადმყოფისათვის, განსაკუთრებით მამაკაცთათვის. ესეთი განაჩენი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ 7000 მანათი, რომელიც საბჭომ ამ საგნისათვის გადასდო, არ კმარობს ოც-საწოლიან ფარდულის გასამართავად, როგორც საბჭოსა სურდა.

⁂ **კავკასიის სტიპენდიატი პეტერბურგის უნივერსიტეტში.** ბ. კავკასიის მთავარმართებლის განკარგულებით, კავკასიის სტიპენდიანტად პეტერბურგის უნივერსიტეტში ჩარიცხულ იქმნა საისტორიო და საფილოლოგო ფაკულტეტის სტუდენტის ვიქტორ კანდელაკი.

⁂ **ავაზაკის შეპყრობა.** ახალქალაქის პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს თ. ჯავახიშვილს, 3 აპრილს, ავჭალის ტრამვაის ვაგონში შეუპყრია ახალქალაქის მცხოვრები ბაგრატ მარაშლოვი, რომელსაც ჰბრალდებოდა მამად-ალი-ბეგ ფალავანდოვის გაძარცვა. ავაზაკს ამ მოკლე ხანში გაგზავნიან ახალქალაქში.

⁂ **ტფილისის პოლიცმეისტრის განკარგულება.** ქალაქის პოლიციის ბოქაულებს დაავალა პოლიცმეისტარმა, რომ მათ თვალ-ყური ადევნონ ქალაქის მოედნებს და სამზღვრებს, რომ სოფლებიდამ შემოტანილს სანოვაგეს არ ჰყიდულობდნენ ხოლმე ქალაქის წვრილი ვაჭრები, სანამ მათთვის დანიშნულს სავაჭრო მოედანზედ არ შემოიტანენ. ამ განკარგულებით პოლიცმეისტერი საშუალებას აძლევს ქალაქის მკვიდრთა საჭირო ხორაგი პირდაპირ სოფლელისაგან იყიდონ და არა ვაჭრებისაგან, რომელნიც ძველს და უვარგისს ხორაგს ჰყიდიან და ერთი-ორად უფრო ძვირად, ვიდრე სოფლელი გლეხი.

⁂ **ქალაქის საყასბო.** ეს მეხუთე თვეა, რაც ქალაქის საბჭოს მორიგ საქმეთა სიაში ვკითხულობთ, რომ ამა და ამ დღეს განხილულ იქმნება მოხსენება გამგეობისა მასზედ, რომ აშენდეს რიგიანი საყასბოვო; მაგრამ ვერ იქმნა და ვერ მივიდა ჩვენი საბჭო ამ საგნამდე. კრებიდამ კრებაზე გადააქვთ ეს საგანი, რადგან გზა-და-გზა მრავალი სხვა საგანი წამოჰყოფს ხოლმე თავსა და საბჭოც ამ საგნებს ანდომებს თავის დროს ისიც მაშინ, როდესაც ამ ხუთის თვის განმავლობაში არც ერთი საგანი არ წარმოუდგენიათ ისეთი, რომელიც თავის მნიშვნელობით უდრიდეს საყასბოსა. წარსულ ორშაბათს საბჭომ მოიშორა თავიდამ ყველა სხვა საქმეები და მიდგა ჯერი საყასბოზედ. ის-ის იყო უნდა კიდეც შესდგომოდნენ მის განხილვას, მაგრამ სთქვეს, რომ რაკი ეს საგანი ძლიერ რთული და სამძიმოა, გადავდოთ შემდეგის კრებისთვის, რომელიც პირდაპირ საყასბოთი დავიწყოთო. დღეს ჩვენა ვხედავთ ორშაბათის საქმეთა სიას, სადაც მოთავსებულია 15-მდე წვრილმანი საგნები და უნდა ვიფიქროთ, რომ საბჭო კვლავ წვრილმანებს გაჰყვება და საყასბო ისევ გადაიდება. ამასა ჰქვიან საქმის მუყაითობა და გულ-შემატკივრობა ქალაქის ავ-კარგიანობის მიმართ! აგერ ოცი ეწლიწადი შესრულდა, რაც თვით-მმართველობა ეპოტინება ამ დიდ-მნიშვნელოვან საგანს, რომელმაც ყოვლად თვალსაჩინო ადგილი უნდა დაიჭიროს ქალაქის კეთილ-განწყობილებაში, და დღემდე ვერა გამოდის-რა. დამაბრკოლებელი მიზეზი, მართალია, უფრო შეუძლებლობა—უფულობაა, მაგრამ არა ნაკლები ადგილი უჭირავს ამ შემთხვევაში თაოსნობის სიმცირესაც. რიგიანი თაოსნობა, ხშირად ფულზედ უფრო შემძლე და ნაყოფიერია, იგი ბევრჯელ თვით ფულსაც შოულობს, რამდენიც საჭიროა. ამ ოცის წლის უშედეგობამ ვერ დააჯერა ჩვენი თვით-მართველობა, იგი თავის შეძლებიდამ ვერ მოახერხებს გადადოს იმოდენა თანხა, რომ თითონ აიშენოს საყასბო. აშკარაა, რომ აქ ან უნდა ვალი აიღოს, ან უნდა მიჰმართოს ფულიან კომპანიებს, რომელთაც საყასბოების გაკეთება თავიანთ ხელობათა აქვთ გარდაქცეული. ქალაქმა ვალის აღება ვერ მოახერხა და არც ადვილია ვალით საქმის გაკეთება. აგერ მილიონ ნახევარი ვალი დაიდო კისერზედ ამ თხუთმეტის წლის წინად და ამ ვალის გადაწყვეტა ქალაქის კასსას დააწვა წლიურ გარდასახადათ 120,000 მანათი ვიდრე გაინთავისუფლებდეს თავს მისგან და გამოისყიდდეს თავის ობლიგაციებს. მწარე გამოცდილებამ ვერ დაანახვა ჩვენს თვით-მმართველობას, რა ძნელია ამოდენა ვალის წყვეტა და მაინც კიდევ ვალისკენ უჭირავს თვალი, თუმცა სამინისტრომ უარი უთხრა ამ სამის წლის წინად და არ მისცა ნება მესამე საობლიგაციო ვალის აღებისა. ეხლა გამგეობა თავის მოხსენებაში ურჩევს საბჭოს კვლავა ვსთხოვოთ 400.000 მანათ ობლიგაციათა გამოცემის ნებაო და ამ ფულით ავიშენოთ საყასბოვო. ფულიანი კაცები და კომპანიები არ უძებნია სრულებით. ამი... ალმოჩნდა ერთი ფრანგ... ნია, რომელიც ... როპიულ ქალაქებში აკეთებს საყასბოებს და რომელმაც ამ ბოლო წლებში რუსეთის ზოგიერთ ქალაქებსაც გაუმართა საყასბოები, მაგალითად, ვარშავასა და ნიჟნი-ნოვგოროდს. ეს კომპანია ეუბნება ტფილისის თვით-მმართველობას—არ იფიქრო, რომ რიგიანი საყასბო დაგიჯდეს 650.000 მანათზედ ნაკლებ, ისიც მხოლოდ მაშინ, როდესაც მის გაკეთებას იკისრებს გამოცდილი მოშენებული საყასბონი, და რადგანაც შენ ამისთანა გამოცდილებ არა გაქვს, ამიტომ თუ შენ ითავებ საყასბოს გაკეთებას, ვერც 800.000 მანათით გაიკეთებ იმას, რასაც მე, გამოცდილი საზოგადოება, მოვახერხებო. ეხლა საბჭოს კეთილ-გონიერებაზედა ჰკიდია გაათავოს ეს რთული საქმე ისე, რომ ქალაქს შეძლებისამებრ ნაკლების ხარჯით შესძინოს ყველაფრით მოწყობილი საყასბო და არც ისეთი მძიმე ვალი აჰკიდოს ტვირთად, რომ ახვნეშოს ქალაქის კასა 25—30 წლის განმავლობაში. გამგეობის მოხსენება უნდა განიხილოს საფინანსო კომისიამ, რომელსაც კარგადა აქვს შეგნებულ უნარი გამგეობისა, და ვნახოთ, ამის გამო რას ურჩევს საბჭოს და როგორ მოახერხებს ქალაქის ოცის წლის მისწრაფების გარდაწყვეტას. თავის დროზედ ჩვენ ვაცნობებთ მკითხველებს ყველა წვლილს ამ საყურადღებო საქმისას.

⁂ **სამართლის წიგნი ქართულს ენაზედ.** ამ რამდენისამე წლის წინად ბაქოში უდროვოდ გარდაცვლილმა ესტატე ამაშუყელმა ქართულად სთარგმნა ორი ტომი „წესდება“ სამოქალაქო და სისხლის სამართლისა. თავისი თარგმანი განსვენებულმა უჩვენა სხვებსაცა და, ვინც-კი ნახა, მოეწონათ, ზედმიწევნილის სინამდვილით და გასაგებად არის თარგმნილიო. განსვენებულმა ამაშუყელმა, თურმე, დიდი შრომა გასწია ამ წესდების თარგმნაში; იძულებული იყო ახალი ქართული ტერმინები შეექმნა. მას სხვა-და-სხვა მიზეზების გამო, არ დასცალდა თავისი შრომა დაებეჭდნა და ისევ ხელ-ნაწერად დარჩა. სასურველია, მისმა ნათესაეებმა, თუ დაახლოვებულმა ნაცნობ-მეგობრებმა ამ ნაშრომის გამოცემის შესახებ კითხვა აღძრან, იქნება, ჩვენმა საზოგადოებამ რაიმე ღონე იღონოს მისი დაბეჭდვისათვის.

⁂ **ანგარიშის გამოცხადება.** იმ კონცერტიდგან, რომელიც იყო გამართული 20 თებერვალს ამ წლისა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების სასარგებლოდ, შემოვიდა: დანიშნულის ბილეთების გაყიდვიდგან 936 მან., შესავალის ბილეთებიდგან 130 მან., და შემოწირულობა 60 მან., სულ 1126

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქირა 80 მან., მარკები ბილეთებისათვის 49 მ., 60 კ., განცხადება და აფიშები 13 მ. 10 კ. გადატან-გადმოტანა და მომართვა ორის როიალისა 30 მ. მუსიკა და საზანდარი 43 მ. ჯილდო ქ-ნის შანშიევისა და ბ-ნის ი. კარგარეთელისა 40 მ. ბუკეტები 10 მ. ბუფეტი 10 მ. და სხვა და სხვა 32 მ. 95 კ. სულ 308 მ. 65. კ.

დარჩა წმინდა შემოსავალი 817 მ. 35 კ.

საზოგადოების გამგეობა უცხადებს ურმესს მადლობას: კონცერტში მონაწილეობის მიღებისათვის კნ. კ. თ. გურამიშვილისას, კნ. ბ. მ. ამირეჯიბს, კნ. ს. დ. ხიმშიაშვილისას და ბ-ნთ ი. თ. სარაჯიშვილს, ი. მ. მატკოვსკის, ვ. ლ. ველიჩკოს, და თ. აკაკი წერეთელს; შემოწირულობისათვის—კ. ი. ზუბალაშვილს (25 მ.), მ. ა. გედევანიშვილს (10 მ.) და სხვათა; როილების თხოვებისათვის ბ-ნთ ლანკოს და სუზანაკიანს, და უსასყიდლოდ განცხადების დაბეჭდვისათვის „Кавказъ"-ის „ივერიის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციებს.

⁂ **ᲗᲔᲚᲐᲕᲘ. წიგნის მაღაზიის გახსნა.** თელავის მცხოვრებმა აჯიმამუდოვმა თხოვნა მიართვა ბ-ნს გუბერნატორს, რომ ნება მიეცეს თელავში წიგნის მაღაზიის გახსნისა და აგრეთვე სოფლებში დღეობებზე ატაროს ხოლმე წიგნები გასასყიდად. ვუსურვებთ ბ-ნს აჯიმამუდოვს წადილის დაგვირგვინებას.

⁂ **ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. უცოლოთა კლუბი.** გაზეთს ისე ვერ აიღებთ ხელში, რომ ახირებული ამბავი არ წაიკითხოთ უცხოეთიდამ; მაგალითად: „ლონდონში ან ნიუიორკში ერთი საზოგადოება შესდგა, რომლის წევრები სულ აკადემიის მაგისტრები არიან. მათი საგანი ის არის, რომ გასათხოვარ ქალებს შორიდან ელამუნებიანო". ოღონდაც რომ ახირებული მიზანია! შორიდან ლამუნი... არც ჩვენ ჩამოვურჩით ამერიკელებს. ჩამოვურჩით-კი არა, გადავაჭარბეთ კიდეც! საქმე იმაში გახლავსთ, რომ ჩვენმა პატივცემულმა წიგნებით მოვაჭრემ ვასილ ბეჟანიშვილმა გახსნა ქუთაისში, ანდრონიკაშვილის შენობაში, ბულვარის პირდაპირ, კაფე (საყავო, café a la Parisien), რომელსაც ეწოდება სახელად „უცოლოთა კლუბი". აქ შეიძლება მიირთვათ მშვენიერი ყავა, კაკაო, შოკოლადი, ლუდი და სხვ. და სხვ. აქვე შეგიძლიანთ თავი შეიქციოთ ჭადრაკით, დომინოთი, ნარდით... მაგრამ, მაგარიც ეს არის, რომ თუ არ უცოლო კაცს, სხვას არ შეუძლიან შესვლა. ახირებულია, თქვენ ნუ მომიკვდებით! ამდენს უცოლო ხალხს ხომ ძლიერ მოსწყინდება, თუ შიგ უქმარო მანდილოსანიც არ ჩაერია!..

— **საურთიერთო ბანკის შენობის დაწყება.** კვირას, 30 მარტს, ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ, თანადასწრებით მიმღების და ზედამხედველ კომიტეტისა, ჩაჰყარა და აკურთხებინა საფუძველი საკუთარის შენობისა. იმავე დღეს ჩვეულებრივი საზოგადო კრება იყო დანიშნული ამავე საზოგადოებისა, მაგრამ, რადგან საკმაო რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდა, კრება შემდეგისათვის გადაიდო.

— **უფასო სამკურნალო.** აგერ ორი წელიწადია მას აქეთ, რაც ქუთაისში ორი-სამი ექიმის თაოსნობით დაარსდა უფასო სამკურნალო. მომიტევეთ, ბატონებო, და იმას-კი არ მოგახსენებთ, თუ რა ჰქონდათ მიზნად ამ პატივცემულთ, რომ ასეთი გულის-ტკივილი გამოიჩინეს. პატივი და დიდება მათ და საზოგადოდ ყველა იმათ, რომელთაც აღუთქვამთ ამ სამკურნალოში უსასყიდლოდ შრომა. დიახ, ზოგიერთმა ექიმებმა აღუთქვეს ამ სამკურნალოში უსასყიდლოდ მუშაობა და ქალაქსაც უნდა გამოეღო იმდენი ფული, რომ სახლის დაქირავებისათვის, მოსამსახურისა და ერთის ფერშლისათვის საკმარისი ყოფილიყო და გამოიღო კიდეც. დაარსდა სამკურნალო, იქირავეს მშვენიერი სახლი და ზედ მიაწერეს ძლიერ დიდის ასოებით „უფასო სამკურნალო", მაგრამ რა!.. ვაგლახ ამ ნაირ დაარსებას! ამ სამკურნალოს დაარსების დროს ხალხში რაღაც ლაპარაკი გაისმოდა კანტი-კუნტად, ამათ მალე მოსწყინდებათ ეს საქმე და თავს დაანებებენო და სხვასაც ხელს შეუშლიანო. მაგრამ ასეთს ლაპარაკს, რასაკვირველია, ყურადღება არავინ მიაქცია და სამკურნალო გაიხსნა. დიახ, გაიხსნა და აბა ერთი მიბრძანდით და იცადეთ, თუ გინდათ ათი საათი და ნახეთ, თუ გამოგხედოთ ვინმემ!—ათ საათზე ესა და ეს ექიმი უნდა მოსულიყოვო, მაგრამ აღარ მოვიდაო, თერთმეტ საათამდე მეორე ექიმის რიგს მოუცადეთო—გეუბნებიან. უცდით მეორეს, არც ის მოდის და ჩარა-გაწყვეტილი, ილაჯწასული ბრუნდებით სახლში. ღვთის წინაშე, პატივცემულს ექიმს ვორონოვზე და ერთს კიდევ ქართველს ექიმზე, ეს არ ითქმის, მაგრამ ორმა კაცმა კვირაში თითო საათით განა რა უნდა გაარიგონ!

ამას წინად ერთმა მანდილოსანმა პატარა ბავშვი მიიყვანა და ოთხი საათი იცადა, საბრალო!—დღეს ექიმები აღარ მოვიდნენო და რა გაეწყობა, ისევ ხვალ მოდითო,—ამ სიტყვებით გამოისტუმრეს. სახვალიოდ საქმე გაგიხადონ და ისიც სამკურნალოში! ხვალამდის-კი იცოცხლებს ავადმყოფი?

ბატონო ესკულაპებო! თუ საქმის ბოლომდე გატანა არ შეგეძლოთ, ძალას ვინ გატანდათ! აი ამაზე არის ნათქვამი: ნუ შეხვალ, ნუ ებანები, ნუ გამოხვალ ნუ თრთიო...

⁂ **ᲡᲐᲛᲔᲒᲠᲔᲚᲝ. აღმოსავლეთის ძლიერი ქარი.** თუმცა-ღა მარტის შუა რიცხვებიდგან განუწყვეტლივ ჰქრის აღმოსავლეთის დიდი ქარი, მაგრამ ზიანი-კი არავისთვის მიუცია. მართალია, ადგილ-ადგილ მიწა გაგვალვა, სადაც შეუძლებელია ხვნა, მაგრამ ისეთი მძლავრი და სასტიკი ქარი არა ყოფილა, როგორიც იყო 30 მარტს. ალიონზე ამოვარდა ქარი და თან-და-თან უმატა სიმძლავრესა. ზოგან დიდი ხეები წააქცია. ხეხილებს, რომლებსაც ყვავილი ჰქონდა, უმეტესი ნაწილი ჩამოაცალა. სახლებს სახურავები გადააგლიჯა. უფრო-კი ქარმა თავისი ძალა იქ გამოიჩინა, სადაც სახლები ისლით იყო გადახურული.

მოარული ავადმყოფობა ჯერ-ჯერობით არა სცხრება, ამიტომ სოფლად მრავალს შეხვდებით ლოგინად ჩავარდნილს.

ტელეფონი.

⁂ **ᲑᲐᲗᲝᲛᲘ. სახადით ავადმყოფთა რიცხვი.** ამ ჟამად ბათომის საავადმყოფოში 37 კაცი წევს შავი სახადით სნეული; მათ შორის ორი ქალია; ექიმები კარგად უვლიან და ამ საშიშ სენს ჯერ არავინ უმსხვერპლია, თურმე,

— **გახშირებული ქურდ-ბაცაცები.** მეტის-მეტად გახშირდა ქურდ-ბაცაცები; ქუჩაზედ დღისით ფრთხილად უნდა იქმნეს კაცი, თორემ ჯიბიდამ ამოაცლიან ყველაფერს; ღამით ხომ მოსვენება არ არის და არა: მუდამ გაისმის, ამას ქვაბი მოჰპარესო, იმას—ღოქი, ან კიდევ ამასა და ამას სამზარეულო გაუტეხეს და გაჰქურდეს, ოთახიდამ ტანთ-საცმელი მოიპარესო და სხვა და სხვა. ნეტავი მიაქცევს თუ არა ყურადღებას ვინმე ასეთს თავგასულობას ქურდ-ბაცაცებისას? დრო არის-კი დიდი ხანია.

— **შეურაცხყოფილი მოხელე და ვაჭარი.** ერთს მოხელეს, თურმე, თავისი ხელ-ქვეითი გაუგზავნია ვაჭართან, ქ. ბათომის მე-4 განყოფილებაში, და შეუთვლია ნისიათ გამომიგზავნეთ პური, შაქარი და ყველიო; ვაჭარი არ დათანხმებულა; მოხელეს ეს შეურაცხყოფად მიუღია თავისის ღირსებისა და ვაჭარი საპყრობილეში გაუგზავნია. ვაჭარს დეპეშით გაუგზავნია საჩივარი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორისათვის ასეთს უსამართლოებაზედ; ვაჭარი გაანთავისუფლეს, მაგრამ, როგორც თითონ ამბობს, ორასი მანათის საქონელი აკლია, თურმე. ამაზედ გამოძიება სწარმოებს.

⁂ **Ქ. ᲙᲐᲕᲙᲐᲕᲘ. მიჯნურისაგან საცოლის მკვლელობა.** ამ ცოტა ხანში კავკავში ერთი საკვირველი მკვლელობა მოხდა, რომლის მსხვერპლად შეიქმნა ახალგაზდა ქალი ალექსანდრა ბაბკინისა. მკვლელობა ჩაიდინა კავკაველ ვაჭრის შვილმა 17 ჭაბუკმა გრიგოლ ნიკიტინმა. საქმის გამოძიებიდგან აღმოჩნდა, რომ ამ ორის წლის წინად ნიკიტინს გაუცვნია ბაბკინის ქალი და ერთმანეთი შეუყვარებიათ. მაგრამ ერთმანეთთან შეხვედრა და მუსაიფი უხერხდებოდა მხოლოდ კვირა-უქმე დღეებში, როდესაც ბაბკინისა ეკკლესიაში გაემგზავრებოდა ხოლმე. 23 მარტს, კვირა დღეს, ბაბკინისა ყოფილა კლასიკურ გიმნაზიაში სასულიერო საზნეო საუბარზე, საიდამაც მოდენილა სახლში. ამ დროს გზაზე შეხვედრია ნიკიტინი, რომლისათვისაც, განსვენებულს, ბაბკინისას დაუწყია ლაპარაკი, რომ ქორწილს, ჯვარის წერას შორს ნუ გადადებ და თუ გინდა, რომ გამოგყვე ცოლად, ნაალდგომევსვე დავიწეროთ ჯვარიო, მაგრამ ამაზე ნიკიტინს უარი უთქვამს, ჯერ პატარა ვარ და ასე მალე ჯვარის-წერა არ მოხერხდებაო. ამის შემდეგ ბაბკინისას მოუთხოვია ნიკიტინისაგან, რომ დღეის შემდეგ ჩემთან ყოველგვარ ნაცნობობა და ტრფობაც შესწყვიტეო, ამ სიტყვებით დაშორებიან ერთმანერთს. ამ დროს ახალგაზდა საქმროს გაუელვა თავში, რომ გამოესალმოს წუთის სოფელს თავისი სატრფო. ამ აზრის განხორციელება მოუნდომებია მეორე დღესვე, მაგრამ ვერ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲐ.

მამია გურიელის თხზულება

ეს მოკლე წუთისოფელი, ეს ქვეყანა, რომელიც ჩვენ ისე გვიყვარს, ზოგისთვის თუ დედაა, ზოგისთვის-კი მრისხანე დედინაცვალია. ზოგის გარემოება იმ თავითვე, დედის უბიდამვე, ისე ბედ-უკუღმართად მოეწყობა, რომ სიცოცხლეს ბევრით არა-სიცოცხლე სჯობია. „ნახევარი ცხოვრების გზა განვლიე, სიტკბოზედა მწარე მეტი დავლიეო", ბევრი ამბობს. ეს ხომ ასეა, მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ტანჯულნი ცოცხალნი, ასეა თუ ისე ურიგდებიან თავიანთ ბედს და სიცოცხლე არა თუ მეტ ბარგად მიაჩნიათ, არამედ სტკბებიან კიდეც ამ სიცოცხლით. მხოლოდ ზოგნი, იშვიათნი პირნი, იშვიათის ნერვებისა და მგრძნობიარებისა, ვერ ჰპოვებენ ხოლმე რაფერს საერთოს ამ სიცოცხლეს თან და ჩვენთა შორის ყოფილნი ვენ აღარ გვეკუთვნიან. ეს ცხოვრება მათთვის „ბოროტი სულია" და რაც მალე მოჰშორდებიან მას, ის ურჩევნიათ. ასეთნი იყვ[illegible] რონი, ბარათაშვილი [illegible] სონი [illegible]

გაუწია თანამედროვე ცხოვრებამ. რასაკვირველია, ყოველს მათგანს „ბოროტი სული" თავისებური ჰყავანდა, ყოველს მათგანს თავისი საბუთი ჰქონდა სამდურავისა. საერთო ამ სურვილებს მხოლოდ ის ჰქონდათ, რომ იგინი კანონიერნი იყვნენ, რომ ცხოვრებას უნდა შეესრულებინა მათთვის ეს კანონიერი წადილები. არ შეუსრულა, მოჰკლა მათში კაცურიკაცობა და აი კიდეც ამაშია მათი დრამატიული მდგომარეობა. მათი საერთო ფიქრია: „Ужъ не жду отъ жизни ничего я, и не жаль мнѣ прошлаго ничуть". შეადარეთ ამ სიტყვებს ლერმონტოვისას მამიასი: „მოდით, დარდებო, აღმივსეთ გული, უთქვენოთ ვსწუხვარ თქვენი ჩვეული; თქვენ კარგად იცით, მხიარულება არცა მქონია და არც მექნება"; ანუ: „მოვიპარები ღამით ყრუ ველში, თვალს არ ვადევნებ მნათობთ კრებასა; უიმედობის აზრით ფიქრებში ბნელში დავეძებ განსვენებასა".

⁂

რა იყო მიზეზი მამიას სულის ობლობისა? ჩვენ ვგრძნობთ სიმძიმეს და სიდიადეს ამ საკითხისას, ჩვენ წინასწარ ვხედავთ, რომ ამ საკითხს [illegible] ქულაჯა ჩაეცმება და სა- [illegible] უ რომელი უფრო [illegible] იმის საბუ- [illegible] ჩაეუა-როთ ამ არსებითს საგანს მამიას ცხოვრებაში. ამიტომ ვეცდებით ამ საკითხს ჩვენის მცირედის ძალ-ღონით შეძლებისამებრ მივუგოთ პასუხი.

მიზეზი ჩვენის პოეტის უბედურობისა, სულით ობლობისა ორნაირია: ზოგადი და კერძო. ზოგადს მის სულის ობლობას დიდი ნათესაობა აქვს ნიკოლოზ ბარათაშვილის ობლობასთან. ეს არის დაკოდილი გული სამშობლოს უბედურების ცქერისაგან. ეს არის ქვითინი და მოთქმა საყვარელის და საუკეთესო შვილისა ძვირფასის დედის საფლავზედ. ეს გამწარებული შვილი მამიას პირით დაჰკვნესის დედას: „აღსდეგ, მამულო, აყვავდი ახლად, გაშალე ძველებრ შორად ხელები, სიცოცხლე ჩვენი იხმარე ნამგლად და ზედ აღზარდე უცხო გმირები! ნაბდისა ქუდი კვლავ დაიხურე, სახელოვნების თვლებით შემკული.. დაგლიჯე ჯაჭვი ეგ გრძელ ხნიანი, შემოხვეული ქედზედ ნებისა, გა ასპარეზზედ მახვილ ხმლიანი, შენ წინამძღოლო ჭაბუკობისა! ძველის ერთობით, თავისუფლებით დროშა, საყვირსა ჭამამად სცემდე და მაგ გმირულის შემძლე მკლავებით სახელსა რწყვიდე კიდის-კიდემდე"!

არ ესმის დედას ეს ემოწოდება საყვარელის შვილისა, პასუხად ბევრი-ბევრი, თუ კვნესით ამოიოხრა. მერე რაო? მერე ისა, რომ ეს ჰკლავს დიდ ბუნებოვან გვამს. უმრავლესობა ურიგდება დედის სიკვდილს, უმრავლესობის ნერვები თოკისაა, ბაწრისა, კანი საკმაოდ სქელი, რომ ამ ვითარებაში დიდი უბედურება დაინახოს. ბრბოს არ ესმის აქ ცალკე კაცის ჯოჯოხეთური ტანჯვა. ბრბო თავისებურად სჯის, თავისის მერკანტილურის ადლით ჰზომავს: მამია ლოთობამ გადიტანაო. ლოთობა შედეგია და არა მიზეზი, ლოთობა ამ შემთხვევაში არის უყურადღებობა ხორცისადმი, სხეულისადმი, რომელიც მეტ ბარგად გახდომია ადამიანს და სცდილობს მალე მოიშოროს იგი. მაშ ისიცა ვსთქვათ, რომ მამია მიტომ იყო უბედური, რომ სამსახურში ვერ დაწინაურდა და ღენერლობა ვერ მიიღოვო.

ვინც არ არის კახაბერი, ძალად ვერვინ გახდის კახაბერად. ვინც იმ თავითვე ისე არ არის დაბადებული, ისეთი გრძნობისა და სულის პატრონი არ არის, როგორისაც იყვნენ ბარათაშვილი, ლერმონტოვი, ნადსონი, მამია გურიელი, იმათთვის გაუგებარია მამიას სულის კვეთება, გამოწვეული დაობლებულის მამულის ცქერით. მამიას-კი ორ ნაირად ახვედრებდა მწვავე მათრახს სამშობლოს იღბალი, როგორც ქართველს და როგორც გურიელს.

ყველა ეს არ ახალია, ძველიაო, იტყვის მკითხველი. კი, მაგრამ მიჩვენეთ ახალი რა არის გულის საბძანებელში. ჩვენი განცვიფრებაც იმაშია, რომ მამიას გრძნობა სხვანაირია, თან-წამტანია, დამტანჯველია, ამათრთოლებელია. მაშ რას ეძებთ პოეტის ნაწარმოებში, მარქსის თეორის ხომ არა? სასაცილოა, მაგრამ არიან ჩვენში ისეთნი ბრძენნი, რომელთაც რუსთაველი არ მოსწონთ: რაო, ვარდსა და ბულბულს, ქალის სიყვარულს დამღერდა, ერთი სიტყვაც არ დახარჯა ბატონ-ყმობაზედაო. დიახ, ასეთი ადლით არ იზომება პოეზია საზოგადოთ და მამია გურიელისა კერძოდ. პოეტის ზედ-გავლენა ადამიანზედ იხატება იმაში, რომ იგი უღვიძებს ადამიანს კაცურ-კაცობას, ადამიანობას, აყვარებს მართალს, ტანჯულთ. უკეთილშობილებს გრძნობებს. იარაღად ხმარობს არა მოძღვრებას მშრალს, აკადემიურს, არამედ სურათ-ხატს.

წაიკითხეთ გრძნობით მამიას „პოეტი და მოჩვენება", ჩადით ბოლომდის და ხმა აამაღლეთ იქ, სადაც იწყობა: „ვფიცავ სამშობლოს ჩემსა დაცემულს, ბედისგან დასჯილს განაწამებსა.

ვისაც ძარღვებში სისხლის მაგიერ ლობიო უდგა, მხოლოდ მას შეუძლიან არ აკანკალდეს, არ აღი-

მოუხერხებია იმის გამო, რომ ვაჭრობის დღე ყოფილა და თავის სხვაგან წასვლით არ ნდომებია ეჭვში შეეყვანა მშობლები. ხარება დღეს ყმაწვილი ნიკიტინი დატენილი რევოლვერით წასულა ახალ საკრებულო ტაძარში, სადაც ეგულვებოდა თავისი სატრფო, რომელიც ხშირად დადიოდა ხსენებულ ტაძარში, მაგრამ იქ ვერ უპოვია და ამიტომ წასულა მინდვრად, სადაც შუადღემდის დაუყვია; შემდეგ დაბრუნებულა დუქანში, ცოტათი დამშვიდებულა კიდეც წინად განძრახვაზედაც ხელი აუღია თითქმის, მაგრამ ამ დროს ისევ გაუელვა თავში შათ-ბედითმა აზრმა, რომ თავისი გულის სატრფო სხვას უნდა შეხვდეს; ეს აზრი ისევ მოსვენებას არ აძლევდა და ამის გამო ახალგაზდა ჭაბუკმა სამუდამოდ გადაწყვიტა, რომ, რაც უნდა მოხდეს, უნდა გამოასალმოს წუთი-სოფელს თავისი სატრფო. 26 მარტს ახალგაზდა ნიკიტინი წასულა ძველი საკრებულო ტაძრის ახლო, სადაც უნდა გაევლო ბაბკინისას. ეს მოლოდინი მართლა ასრულდა, საბრალო მსხვერპლი თავის დებითა და ბებიით მიდიოდნენ ერთად; ბებიამ შეუხვია ძველს საკრებულო ტაძარში, ხოლო დები-კი გაეშურენ ახალი ტაძრისაკენ. როცა ისინი მიუახლოვდნენ ვარანცოვის ქუჩას, ამ დროს გამოჩნდა ნიკიტინიც და დაედევნა მათ. დებმა შენიშნეს თუ არა, მობრუნდნენ მაშინვე და შეჩერდნენ. ამ დროს ნიკიტინმა რეოლვერიდგან ორჯელ გასროლით იქვე დააწვინა თავისი სატრფო, რომელიც მაშინვე წაიყვანეს სახლში, სადაც ნახევარი საათიც არ უცოცხლია; თვითონ ნიკიტინი იმ წამსვე თავის თავად, მოურიდებლად გაჩნდა პოლიციაში და განუცხადა ყველაფერი თავისი საქციელი მორიგ ბოქაულს. ამ ჟამად მკვლელი დატუსაღებულია, საბრალო მსხვერპლი-კი 28 მარტს მიაბარეს მიწას.

⁂ **სიმართლის აღსადგენად.** Le vrai seul est aimable (მარტოდენ ჭეშმარიტებაა ღირსი სიყვარულისა), ამბობს ფრანგების ანდაზა, და ნება გვიბოძეთ, ბ-ნო «ბიძიავ», ჭეშმარიტებით შევისწოროთ შეცდომანი. „ცნობის ფურცლის" № 164-ში ქიზიყის დეპოს საზოგადოებისაგან ამორჩეულ კომისიას უსამდურავებთ, რატომ აქამდის არ შეიკრიბნენო. თუმცა იმ კომისიაში ამორჩეულია დეპოს გამგეობის თავმჯდომარეც, მაგრამ მაინც გამგეობას ბრალს ვერავინ დასდებს: კომისიას თვით უნდა ეზრუნა, დროზედ დაენიშნა კრება, და როდესაც მას ქართველურ დაუდევრობის ხანდაზმულობა შევატყეთ, თვით ჩვენვე მოვიწვიეთ წერილებით დანიშნულ დღეს შეკრებილიყვნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი კაცი მოვიდა, და სხვებს შემოეთვალათ: მოუცლელობის გამო ვერ დავესწრებითო. და აი მას დღეს აქეთ ველით, როდის მოგვწერენ: მოვიცალეთო. ხშირად ქართველები რუსების სიტყვას «ზავტრას» ბოლო-მოუღებელ საქმის დამსურათებელ სიმბოლოდ ვხმარობთ, მაგრამ თვით ქართველებსავე საზოგადო საქმეთა შესახებ რომ ბოლო-მოუღებელი „ზავტრა» გვჭირს, ასეთი „ზავტრა" ღმერთმა ჩვენს მტერსაც ნუ მიარგუნოს.

ოთხი გამგეობის წევრიდამ ერთი გაანთავისუფლეს, „ერთმაც, ჩვენდა სამწუხაროდ და სასიამოვნოდ ავის ხალხისა და ავის თვალისა, მოიტეხა ფეხი, რომლითაც დეპოს მოესპო მისი მზრუნველი თვალი და ყურადღება, მაშასადამე დარჩნენ ორნი-ღა. ეს ორნიც ,ხან დეპოს საჭიროების გამო, ხან საკუთარის საქმეებისათვის სხვა-და-სხვა ადგილებში მიდიან ხოლმე კარგა ხნობით (isc!), აი, როგორც მაგალითად, ამ ჟამად ტფილისში იმყოფებიან, ვგონებ, სავაჭროდ და დეპო-კი, რაღა თქმა უნდა, სრულებით უპატრონოდ (sic!) არის ნოქრების ხელშიო",—ჰბრძანებს ბ-ნი „ბიძია". გავატაროთ ახლა მისი სიტყვები სიმართლის ცხრილში და ვენახოდ რაღა დარჩება ცხრილ ზემოდამ ჭეშმარიტებად. მართალია ახლად ფეხ-გამთელებულს ჯერ სახლს გარედ სიარული არ შეუძლიან, მაგრამ ეს იმას არა ჰნიშნავს, რომ თუ თვალით ვერა ჰხედავს დეპოს, მისს მზრუნველ ყურადღებასაც მოკლებული ყოფილიყოს და იყოს იგი ან ერთს დღეს და ან უიმისოდ სწყდებოდეს დეპოს რომელიმე საქმე. დიახ, ზოგჯერ საკუთარს საქმესაც მიჰხედავენ ხოლმე გამგეობის წევრნი —მართალია და ეს სიმართლეც თქვენვე გამტყუნებთ, ბ-ნო ჩვენო, და აი რათა: სწორედ იმ აზრით გახლდათ ამორჩეული ოთხი გამგეობის წევრი, რომ ორ-ორნი ნობათით უნდა განთავისუფლებულიყვნენ თავიანთ მამულების მისახედავად, რადგანაც ქიზიყის დეპო ჯერ ახლად ფეხ-ადგმული საქმეა და ნაათლადაც ვერ აჯილდოებს გამგეობის შრომა-ზრუნვას, ამისავე გამო დაანება თავი გამგეობის მეოთხე წევრმა. ესეც კარგად უნდა მოგეხსენებოდეთ, რომ გამგეობის წევრებმა ბევრჯერ საკუთრება საზოგადო საქმეს ანაცვალეს, მაგალითად: შარშან მაისში დ. ნ. დეპოს სავაჭროებისათვის ტფილისში იყო, რის გამოც ვერ უწამლა თავის ვენახებს დროზედ და ასი თუმანი ზარალი მოუვიდა. ვინ მოგახსენათ, ბ-ნო „ბიძიავ", რომ გამგეობის წევრთა ტფილისში წასვლის შემდეგ დეპო სრულებით უპატრონოდ დარჩა ნოქრების ხელშიო? ჯერ ერთი ეს, საღებ-მიცემო ბუჰალტერია ისე უთავ ბოლოდ არა გვაქვს მოწყობილი, რომ იქ ღალატი გაბედოს ვინმემ და პირველად თუ არა, მეორე-მესამედ მაინც არ დავიჭიროთ, მეორეც ეს, მუშტრის ფული ჩეკებით კასსაში მიდის და საღამოობით ნოქრებ-კასირის შემოწმებით კასას იღებდა დავთრებში შეტანით ჩვენგან მინდობილი სოფლის მასწავლებელი ბ-ნი ი. მენთეშაშვილი, და მესამეც ეს, დეპოს გახსნიდამ დაკეტამდის ყველა ნოქრებს ჰმეთვალყურეობდა ჩვენგანვე მინდობილი პატივცემული ქ-ნი ანნა ჯავაშვილისა. ამას ეძახით სრულებით უპატრონობას? როდესაც საზოგადო დეპოს აღებ-მიცემობის გაძლიერება-წარმატება აუცილებლად ითხოვს არა თუ ორის, არამედ ყველა გამგეობის წევრთა ერთად წასვლას საქმეზედ, უნდა წავიდნენ კიდეც და ვინც ამაზედ უსამდურავებს-ყოვლად-უსაფუძვლო იქნება მისი სამდურავი.

ცოტაოდენი ნდობა რომ ნოქრებზედაც არა გვქონდეს და ყველა ნოქარი თავზე ხელ-აღებული სათოკე ჯიბგირი იყოს, მაშინ მთელის ქვეყნის მეურნეობა, მრეწველობა, აღებ-მიცემობა და ხაზინა-ბანკები მთლად მოისპობოდნენ, რადგანაც სხვათა ხელნი აწარმოებენ და ყოვლად შეუძლებელია თითო ადამიანს თითო პატრონი ედგეს თავს მეთვალყურედ. ავიღოთ, მაგალითად, თუნდ პარიჟის საარაკო-გიგანტური სავაჭრო დაწესებულება „ბონმარშე", რომელსაც, აუარებელ მოსამსახურეთა გარდა, ოთხი-ათას-ას-ორმოც-და-ათი (40150) ნოქარი ჰყავს და წელიწადში ასორმოც-და-ათი (150,000,000) მილიონ ფრანკს ვაჭრობს (იხ. «Русское Богатство», № 4—96 წ.). ხსენებულ სავაჭრო დაწესებულებაში, რომ ადამიანური ნდობა არ ჰქონდეთ თვით ნოქრებზედაც, მაშინ 40150 ნოქარს სწორედ ამდენივე გამგეობის წევრი დასჭირდებოდა, რათა ყველა ნოქრებისათვის ხელებთვალებში ეცქირნათ ფეხ-მოტეხილ ციცუნია-გოშპარასავით.

დასასრულ ჰკითხულობთ: „განა გამგეობა მოვალე არ იყო მაშინვე დაესახელებინა ვინმე სამაგიეროდ დათხოვნილის (?) წევრისაო?" საკვირველია ღმერთმანი, ნუ თუ არ მოგეხსენებათ ბ-ნო „ბიძიავ", რომ გამგეობის წევრის დასახელება-ამორჩევის უფლება მხოლოდ დეპოს საზოგადოებასა აქვს და არა გამგეობას. ან ის როგორღა დაგვიწყებიათ, რომ ამ კითხვის გარდაწყვეტა წლიურმა კრებამ თქვენგანვე სამართლიანად სამდურავ-ნათქვამს კომისიას მიანდო: არის თუ არა საჭირო და შესძლებს თუ არა დეპოს მოგება მეოთხე გამგეობის წევრიც ვიყოლიოთო.

მართლაც და ძნელია ჩვენს დროში „ვისაც უკისრნია აწ უმადური საქმე საზოგადოების სამსახურისა"—პოეტთა პოეტისა არ იყოს—და მეტადრე ქიზიყელთა დეპოში, რომლის გამგეობის მტერ-მოყვარეთა მითქმა-მოთქმიდამ საუცხოვო თვალ-მარგალიტებით აღსავსე ისტორია დაიწერება...

ქიზიყის დეპოს გამგეობის წევრნი: დ. ნადირაძე, დ. ჯავაშვილი, ი. გომელაური.

სასამართლოს მატიანე.

დუხობორის გაძარცვის საქმე.

ქ. გორში, წარსულს მარტში, ტფილისის ოლქის სასამართლოს დროებითმა განყოფილებამ განიხილა დუხობორის მიხეილ ხოდიკინის გაძარცვის საქმე.

ამაში ბრალი დაედვა სოფელ გორიჯვარის მცხოვრებ გლეხთ გიორგი გოგინაშვილსა და გაბო ქარელიძეს, რომელნიც 1895 წელ. 22 აგვისტოს, დღისით თავს დასცემიან ხსენებულს ხოდიკინს მუშაობის დროს, სიკვდილს დამუქრებიან და ძალით წაურთმევიათ ოცდაათი მანათი ფული.

სასამართლომ დამნაშავედ იცნო გოგინაშვილი და ქარელიძე. ორივეს ყოველივე ღირსების ახდა და კატორღაში გაგზავნა მიუსაჯა: გოგინაშვილს—6 წლით და ქარელიძეს—4 წლით.

—

ფრანგის ქალის გაძარცვის საქმე.

4 აპრილს ტფილისის ოლქის სასამართლომ განიხილა ფრანგის ქალის იულია ელდის გაძარცვის საქმე. ეგ ქალი 8 დეკემბერს, 1896 წელს, დღისით ორს საათზედ, შუა ქალაქში, გაძარცვა ტფილისის მაზრის მცხოვრებმა გიორგი ბეროზაშვილმა.

ოლქის სასამართლომ ბეროზაშვილი

გზნას ამ ლექსის წაკითხვით. აქ თქვენ მამია გავიწყებთ ქვეყანას, ცოლ-შვილს, დღიურ ვარამს და მედგრად შეგიპყრობთ იმ გრძნობებით, რომლებიც მის სიტყვებში და სურათებშია. აი საწყაოც პოეტის დიდ-პატარაობისა. ასეთი გავლენა მკითხველზედ შეუძლიან მხოლოდ ზევარდმო მადლით ცხებულთ, მხოლოდ ნამდვილს პოეზიას, ჭეშმარიტს ნიჭს, ტალანტს. შეადარეთ აქ მოყვანილი ადგილი საუკეთესო ისტორიულს პოემების ადგილებს ბარათაშვილისას, ჭავჭავაძისას' აკაკისას, ორბელიანისას, პუშკინისას და მიჩვენეთ უკეთესი.

მამია დიდი მხატვარია: სამჯერ-ოთხჯერ მოუსვა კალამი და მთლად ჩვენი წარსული თვალ წინ გადაგვიშალა. ეს არ გვაკმარა, არ-კი დაგვანახვა მხოლოდ ჩვენი წარსული, როგორც პანორამაში, არამედ აგვაღელვა, აგვათრთოლა, აგვატირა· კიდევაც ვიტყვით, პოეზიის უდიდესი მადლიც აქ არის.

⁂

მეორე ზოგადი მიზეზი მისის „ობლობისა" არის უკაცობა, უადამიანობა თანა-მედროვეთა შორის. მის გარშემო კაცუნები ბევრნი იყვნენ, მაგრამ კაცები-კი ძალიან ცოტა. ძალიან სათაკილოა ჩვენთვის, მაგრამ მართალი-კია. რა სპეტაკია მისი შეხედულობა ადამიანზედ და მის დანიშნულებაზედ ამ სოფლად, ეს სჩანს ყველას მიერ კარგად ცნობილ ლექსიდამ „ადამიანი". ის ეხვეწება ყველას: ნუ დაივიწყებ, რომ შენხარ მხოლოდ ადამიანი. ბევრს-კი გვავიწყდება ეს. აი, მაგალითებრ, ლექსში «ანდერძი» რას ამბობს თანამედროვეებზე: „მე თუ მოვკვდი, შენ დარჩები და ერთს რასმე გიანდერძებ: სულ ნურავის ნუ ენდობი, ნურც მეგობარს სოფლად ეძებ! ყველა სტყუის, ყველა ფლიდობს, თავის თავსა ემოყვრება, ბედკრულისთვის არვინ სცდილობს, სურთ-კი ჩვენი მოტყუვება".

ნუ თუ ადგილი მისახვედრი არ არის „ობლობა სულისა" მაღალ-ბუნებოვან ადამიანისა, ღვთაებრივ მადლ-ცხებულ ʼარსებისა იმ ხალხში, სადაც „ყველა სტყუის, ყველა ფლიდობს". აკი მოგახსენეთ, ჩვენთვის, ხალხისთვის ეს თითქმის გაუგებარია. სხვამ რომ იტყუოს, მე რად გავხდები ობოლიო. მაგრამ ჩვენ ვსჯით ასე, უბრალო მომაკვდავნი. დიდს კაცს-კი დიდი გრძნობა აქვს, იმას ის მადლი აქვს, რომ მას სხვისა ტანჯვა საკუთარ ტანჯვარ მიაჩნია, ქვეყნის წყლული იმის წყლულია. მას ვერ უპოვია მოსვენება ისეთს საგნებში, როგორც ფული, ჩინი, ნათესაობა, ცეკვა, თამაში. მისი ტანჯვა გულის სიღრმეში იმალება, ვერ გამოუთქვამს, რადგან ბრბო ვერ გაიგებს და სასაცილოდ აიგდებს. ამითი მათი ქენჯნა ორკეცდება. ბოლოს სიცოცხლეც აღარ უნდათ და თავს იწამლევენ, აი თუნდა ღვინით.

⁂

ბიოგრაფიაში მოკლედ არის მოთხრობილი ეპიზოდი პოეტის ცხოვრებიდამ, რომელმაც ისე მოშხამა და მოქალაქობრივად მოკლა მამია.

ჩვენ გვესმის სიტყვა-მოკლეობა ბიოგრაფისა: ჯერ არ დამდგარა ის დრო, როდესაც შესაძლებელ იყოს სრულიად აეხადოს ფარდა ამ დრამატიულს ხანას პოეტის ცხოვრებისას და იმისიც მადლობელი უნდა ვიყვნეთ ბიოგრაფისა, რომ ოდნავ ასწია ეს ფარდა.

ჩვენ აქ არცა გვაქვს სურვილი გამოვიკვლიოთ ყოველი წვლილი ამ საგნისა. ჩვენთვის საკმარისია, რომ მამია იყო იმ ხანს „ახალ-გაზდა, ლამაზი, რომელსაც მოსწრებული სიტყვა-პასუხი ჰქონდა და პოეტური ნიჭის შარავანდედიც შნოს აძლევდა". მიბრძანეთ, ასეთს კაცს აქვს უფლება, მოითხოვოს სიამენი სოფლისა? თუ-კი ყოველი მომაკვდავი ამას ითხოვს, ნუ თუ მამიას-კი არ უნდა ასცხადებოდა გულის ნადები? მაგრამ, დახეთ რა დედინაცვალობას უწევს წუთი-სოფელი. ეს ისეთი ფაქტებია, რომ რკინის გული ვერ გაუძლებს, ჯაჭვის ნერვემი მოიშლება. და აჰა გატყდა მამიას გულიც, მამია ,,დაობლდა სულით", მამია ლოთობს და ზოგნი-კი ამას მიზეზად სთვლიან პოეტის უბედურობისას. აქ ჩვენ ვხედავთ მიზეზისა და შედეგის ერთმანეთში უთავბოლოდ გადარევას.

პოეტის მგრძნოებიერმა გულმა ვერ აიტანა წმინდათა-წმინდის შელახვა, გატყდა გული და მოკვდა კაცი. მაგრამ აქაც მეტყვიან: რა იყო, რომ დიდ-ბუნებოვანი კაცი კერძო თვისს ბედს არ გადაჰყოლოდაო, სადღა იყო სამშობლო, ქვეყანა, მომავალიო.

დიახ, ადრევაც მოგახსენეთ, ასე სჯიან მომაკვდავნი, ის შუატანის კაცნი, რომელთათვისაც მედგარი და უებარი შთაბეჭდილება გაუგებარი ამბავია, რომელთაც არც სიყვარული შეუძლიანთ, არც სიძულვილი ისე, რომ მას ანაცვალონ მთელი თვისი არსება. ასე არა სჯიან ზეგარდმო მადლით ცხებულნი. რამ მოკლა რუსების სასიქადულო პოეტი პუშკინი. პუშკინს უყვარდა და ამ სიყვარულსა და ოჯახის შებღალვას თავი შესწირა.

გავიხსენოთ აქავე ჰაზრის განსამარტებლად ,,ვეფხვის ტყაოსანი". დავეკითხოთ კაცის გულისა და გრძნობის მსოფლიო თილისმას, დიდს ფსიხოლოგს და მცოდნეს ადამიანის სულის ყოველის ნაკვთისას, დიდს შოთა რუსთაველს. ის გვეტყვის, რომ ტარიელი გახელდა, გაგიჟდა, მოკვდა მას შემდეგ, რაც ნესტან დარეჯანი ქაჯებმა მოსტაცეს. იგი დარბის ტყეში, ველში, უდაბნოში, გამხეცდა, გაველურდა. თუ გნებავთ, დაუმატეთ: გალოთდა, უდიერი ხმა დაიწყო და რუსთველის წინაამდეგს არას იტყვით.

ასე მოუვიდა ტარიელს, იმ ტარიელს, რომელსაც ვერ მოაკლებთ ვერც კაცურ-კაცობას, ვერც ნიჭს, ვერც პატიოსნებას, ვერც მამაცობასა და გმირობას.

აი მეორე მიზეზი მამიას «სულის ობლობისა". აი მეორე და, ჩვენის ფიქრით, უმთავრესი მიზეზი მამიას უდროვოდ გარდაცვალებისა ზნეობრივის აზრით. მამია მოკვდა ადრე და მალე სულიერად, თუნდ მისს ხორცს საუკუნოები ეცოცხლა.

მ.

დამნაშავედ იცნო იულია კლდის გამარცვაში და მიუსაჯა მას ყოველივე ღირსების ახდა და კატორღაში ოთხის წლის ვადით გაგზავნა.

სამეცნიერო ცნობა

—

ბრმა-ყრუ სტუდენტი ქალი ამერიკაში. ამერიკაში ქალების ერთს სასწავლებელში სწავლობს თექვსმეტის წლის ყრუ-ბრმა ქალი, რომელიც გარვარდიის უნივერსიტეტის მისაღები ეგზამენების დასაჭერად ემზადება. ამ სასწავლებლის დირექტორის სიტყვით ეს ქალი ისე მშვენივრად სწავლობს ინგლისურს, ლათინურს, გერმანულს ენებს და ისტორია-მათემატიკას, რომ უნივერსიტეტში საუკეთესოდ დაიჭერს ეგზამენსაო. მისს კელლერის მომავალი საკვირველი სტუდენტი ქალი, ორის წლის იყო, როდესაც დაბრმავდა და დაყრუვდა ხანგრძლივის ავადმყოფობის გამო. შვიდს წლამდის უპატრონოდ იზრდებოდა, მას შემდეგ კი მისი აღზრდა იკისრა ერთმა მასწავლებელმა ქალმა, რომელიც ეხლაც მასთან არის. თავდაპირველად მას დააწყებინეს სწავლა ბრმათათვის გამოგონილი ანბანით, შემდეგ, როცა კარგად შეეჩვია კითხვას, იგი მიაბარეს ნიუიორკის იმ სასწავლებელში, სადაც ტუჩების მოძრაობით ყრუებს აჩვევენ ლაპარაკს. მაგრამ საბრალო მისს კელლერისთვის ეს მეთოდა მიუწდომელი იყო, რადგანაც ყრუნი თუმცა ყურით ვერას ისმენენ, მაგრამ თვალით მაინც ჰხედავენ და ამ გვარად სხვის ტუჩების მიმოხვრა-მოძრაობით შეუძლიანთ შეითვისონ ლაპარაკი, მისს კელლერი-კი, რადგანაც თვალითაც ვერა ჰხედავდა, ამიტომ თითების შემწეობით და შეხებით უნდა ესწავლა, მაგრამ მისს კელლერმა ისეთი ნიჭი და უნარი გამოიჩინა, რომ რამდენისამე წლის განმავლობაში ზედ მიწევნით შეისწავლა რამდენიმე ენა და საგნები. შეიქმნა თუ არა ხუთმეტის წლისა, მან განიძრახა უნივერსიტეტში შესვლა და ამ ცოტა ხანში იმედია, სისრულეშიაც მოიყვანს ამ დიადს სურვილს, თუ მართლა მისს კელლერმა დაიჭირა ეგზამენი და წარჩინებულად დაამთავრა კურსი არჩეულის ფაკულტეტისა, სწორედ დიდად გასაკვირვი იქნება.

—

ხსოვნის დაკარგვა. ერთს ამერიკელს ქალს, რომელსაც გატაცებით უყვარდა ქმარი, მშობიარობის დროს დიდხნობით გული წაუვიდა და ხსოვნა დაეკარგა, ისე რომ სრულიად აღარაფერი ახსოვდა თავისი წარსულისა, თავისს ქმარ-შვილს ერიდებოდა, უარს ჰყოფდა და ამბობდა: მე მაგათთან არაფერი ერთობა არა მქონიაო. მშობლებმა და ნათესავებმა რის ვაი-ვაგლახით დაარწმუნეს, რომ იგი გათხოვილია და შვილიც ეყოლა. თუმცა ქალს კიდევ არა სჯეროდა და ვერას-გზით ვერ წარმოედგინა, თუ რა ჯადო-ქრობით გაუჩნდა მას ქმარ-შვილი, როდესაც ამ გვარი არა ახსოვს-რა.

ერთს ახალგაზდა ამერიკელს კიდევ დიდის ხნის ძილის შემდეგ დაავიწყდა ყველა ის, რაც იცოდა, თურმე, და ხელ-მეორედ მოუნდა ყველაფრის შესწავლა. ხელ-ახლად უნდა ესწავლა თვლა, წერა-კითხვა და გაეცნო ყველა საგნები და ნათესავები. რამდენისამე თვის შემდეგ კიდევ მოუვიდა ამ გვარივე ძილი, რომლის შემდეგაც სრულიად დაავიწყდა ყველა ის, რაც პირველის ძილის შემდეგ შეისწავლა და გაახსენდა ის, რაც პირველად იცოდა. შემდეგშიაც ეს ორთავე ხანა ისევ დაჰყვა და ხან ერთს მდგომარეობაში იყო, ხან მეორეში. როცა პირველი ხანა მოუვიდოდა, სისრულით იცოდა ყველა ის, რაც თავდაპირველად ისწავლა, როცა მეორე და ყველა ის გაახსენდებოდა, რაც პირველის ძილის შემდეგ ისწავლა, ასე რომ ერთს ადამიანში თითქოს ორი ადამიანი იყო. თუ პირველი ხანა მოუვლიდა საუცხოვოდ სწერდა, თუ მეორე ძლივსა ჰბლაჯნიდა და ეძნელებოდა წერა, რადგანაც მაშინ ძალიან ცოტა იმეცადინა წერის შესწავლა. თუ რომ უნდოდა გაეცნო ვინმე, საჭირო იყო ორთავ მდგომარეობაში გაცნობა, თორემ შემდეგ ვეღარ იცნობდა. ამ გვარივე მაგალითი მოხდა ინგლისშიაც. ერთს ქალს მთელის ერთის თვის განმავლობაში ეძინა, ძილის შემდეგაც სრულიად გამოიცვალა და დაავიწყდა მთლად წარსული. წინანდელი ავადმყოფობა ანჩხლობა, უხასიათობა, ბავშურს ხასიათზედ შეეცვალა და რადგანაც ყველაფერი დაავიწყდა ბავშვივით ხელ-ახლად უნდა შესდგომოდა შესწავლას. ნათესავებშიაც აღარავის იცნობდა, უარს ჰყოფდა თვით ქმარსაც.

შაქრო.

სამკურნალო ცნობა

—

ლოთობით ავადმყოფობა და მისი მორჩენა. ლოთობა საშიშ ავადმყოფობად უნდა ჩაითვალოს. კაცი ცოტ-ცოტაობით ეჩვევა სასმლის ხმარებას და ბოლოს ეს ჩვეულება დაუძლეველ სურვილად ექცევა. ლოთები ადრე კვდებიან და თითქმის მათი სიკვდილის მიზეზი ყოველთვის მარტო ლოთობაა. ადრე სიკვდილის გარდა, ლოთობას ძლიერ ცუდი გავლენა აქვს ჩამომავლობაზე. შენიშნულია, რომ ლოთს კაცს საღი შვილები იშვიათად ჰყავს; მისი ყოველგვარი ნაკლულევანებანი და აგრეთვე ჩვეულება-მიდრეკილებანი სასმელისადმი შვილებზედაც გადადის. ზნეობრივ და ეკონომიურ ვნების გარდა, ლოთობა სახელმწიფოსაც დიდს ზარალს აძლევს, რადგანაც იგი მცხოვრებთ რიცხვს ძლიერ ამცირებს. ამისათვის საჭიროა ლოთობის წინააღმდეგ ყოველ-გვარის საშუალების მიღება. პირველი ამ საშუალებათაგანი სამიკიტნოების შემცირებაა. ლოთს ძლიერაც რომ არ უნდოდეს სასმელი, მაინც ვერ გასძლებს, რომ სამიკიტნოს დანახვაზე კარებს არ შეხედოს და შიგ არ შევიდეს. ძველ დროში, როდესაც სოფლებსა და აგრეთვე ქალაქებშიაც სამიკიტნოები ძლიერ იშვიათი იყო, ლოთებიც, რასაკვირველია, ცოტა იყო. ლოთს პირველ ჭიქა სასმლის დალევამდე, არას დროს არა აქვს სურვილი დათრობისა, ამისათვის იგი არას დროს არ წაიღებს საგზაოთ სასმელს და არც საჭიროებს. ამიტომ მას ძველ დროში იგი მხოლოდ შემთხვევით სვამდა, როცა სამიკიტნოს ხვდებოდა. ეხლა-კი იგი მუდამ სვამს, რადგანაც ყოველ-ფეხის გადადგმაზედ მიკიტნის დუქანსა ჰხვდება. მეორე საშუალებად უნდა ჩაითვალოს არაყის და ღვინის ნისიად ან ნივთის დაგირავებით გაყიდვა. ბოროტ-მოქმედება ამ შემთხვევაში, როგორც ქურდობა ისე უნდა დაისაჯოს, რადგანაც მიკიტანი გრძნობა და გონება დაკარგულ მთვრალ კაცს მარცვავს. მესამე საშუალება — დასჯაა მთვრალთა, რომ ლოთებს, როგორც ავადმყოფებს და უძლურებს არ ექცეოდნენ და ამის გამო მათ არა სჯიდნენ. ეს საშუალება ძლიერ იმოქმედებს მეტადრე იმათზე, რომელნიც ახლად შესდგომიან ლოთობას. მაგრამ საუკეთესო საშუალება სწავლა-განათლების გავრცელებაა ხალხში. ყველა ამ საშუალებათ საკმაო ყურადღება უნდა მიექცეს, რადგანაც ლოთობა ისეთი ბოროტებაა, რომელიც არა მარტო მცხოვრებთ რიცხვს ამცირებს, არამედ მომავალ თაობის ჭკუა-ნაკლებობას და სისუსტეს გვიქადის. სამკურნალო საშუალებანი აგრე რიგად არასა შველიან. საზოგადოდ რომ ვსთქვათ, ძლიერ ნაკლებად არის გამოკვლეული სამკურნალო საშუალებანი ლოთობის მოსარჩენად. ამ საშუალებათ შეუძლიანთ მცირედი გავლენა იქონიონ მათზე, რომლებიც ახლა ეჩვევიან სმას. ამ შემთხვევაში ნამდვილი უნდა იყოს ავადმყოფის მუცლისა სისხლი გამწმენდავნი საშუალებანი. ამნაირ საშუალებათ უნდა ჩაითვალოს: გალერის მჟავე კაპლები ერთი ჩაის კოვზის წყალით ათ-ათი კაპლი, დღეში სამჯერ. წყლის მაგივრად უფრო უკეთესია აფთიაქში გაკეთებული ღიმის რძისაგან ჩაი. მათ უნდა მიემატოს გოფმანის კაპლი, (10 წვეთი ერთ ჩაის სტაქანში) და რაც შეიძლება ბევრი სვას.

წვრილი ამბავი

—

სიკვდილის ჟამი. რას არ გამოიკვლევენ ხოლმე ცნობის-მოყვარე ევროპიელნი. ინგლისელმა და გერმანელმა სტატისტიკოსებმა განიზრახეს გაეგოთ, რა დროს უფრო წაუჩქრებს ხოლმე სიკვდილი ადამიანს თავისს ბრჭყალებს. შეჰკრიბეს ცნობები და აღმოჩნდა, რომ 13 ათასს გარდაცვალებულთა შორის, თითქმის ყველამ სული დალია დილის 4 საათიდგან ვიდრე 10—მდე. როგორც სჩანს, დილა ის უბედური დრო ყოფილა, როდესაც უფრო ხშირად დაუგრავს ხოლმე კაცს სიკვდილი თავს.

—

ისტორიული ყვავი. მეორმოცე წლებში ამ საუკუნისა, ვერსალის ბაღში სტუმართ აჩვენებდნენ ხოლმე ერთს დაბერებულს და დაჩაჩანაკებულს ყვავს, რომელსაც ერთს დროს მნიშვნელობა ჰქონდა ლუდოვიკ XVI უბედურის მეუღლეს მარია ანტუანეტას ბედ-იღბალში.

მაისის ერთს მშვენიერს დღეს 1785 წელს მარია ანტუანეტა სარკმელზედ იყო დაყრდნობილი და ტრიანის ბაღს გასცქეროდა. ხელში ორცხობილა (ბისკვიტი) ეჭირა, რძეში აწებდა და ისე მიირთმევდა. ამ დროს სარკმელთან მოფრინდა ყვავი და მაგრად ჩაჰკრა ნისკარტი შუშას. დედოფალი ჯერ შეკრთა, მერე გაუნაწილა ყვავს თავისი საუზმე და სარკმელიც დახურა. ეს შემთხვევა უამბო მეფეს და თან დასძინა, რომ ყვავმა ძალიან შემაშინაო. მეორე დღეს დანიშნულ საათზედ კვლავ მოფრინდა იგივე ყვავი დედოფალთან, მესამესაც, მეოთხესაც. ბოლოს ისე შეეჩვია ეს ყვავი დედოფალს, რომ აღარ ჰშორდებოდა და თან დასდევდა, როდესაც დედოფალი ბაღში დასეირნობდა. 1789 წელს (მოკლულ იქმნა მარია ანტუანეტა) ყვავი სადღაც გადაკარდა და გამოჩნდა მხოლოდ 1810 წელს. ამ ხანში დედოფალი მარია ლუიზა, მეორე ცოლი ნაპოლეონისა, სადილს მიირთმევდა ტრიანონის ბაღში. ვნახოთ, მოგოგდა ერთი ყვავი და დაიწყო მაგიდას ქვეშ ჩხავილი, თითქოს საჭმელს ითხოვდა. ეს იყო ყვავი მარია ანტუანეტასი. როდესაც ეს ამბავი მოახსენეს ნაპოლეონს, რომელიც ძალიან ცრუ მორწმუნე მეფე იყო, მან ბრძანა, რომ მარია ლუიზას დაენებებინა მალე თავი ამ სასახლისთვის.

1814 წელს, როდესაც ნაპოლეონი გადააყენეს ტახტიდგან, მარია ლუიზამ კვლავ ინახულა ტრიანის პარკი და მიიღო აქ თავისი მამა იმპერატორი ავსტრიისა. ორივენი დასეირნობდნენ ბაღში და ერთხანად ჩამოსხდნენ სკამზედ. აქ გაახსენდა დედოფალს განვლილი ბედნიერი დღეები ამ პარკში და უამბობდა მამას თავისს მომავალ ბედ-იღბალზედ. უცებ მოესმათ ჩხავილი, მიიხედეს და დაინახეს ყვავი. მარია ლუიზამ დაიწივლა: იცნო შავი მოამბე შავის ბედისა. ლუიზა იმავე დღეს გაჰშორდა ამ ბაღს, ხოლო ყვავი-კი დიდხანს სცოცხლობდა და პარკს არა ჰშორდებოდა.

სალამოს დეპეშა

5 აპრილი.

კონსტანტინეპოლი. მე-34 რაზმის პირველ ბატალიონის უფროსი მაიორი იუზუფი დანიშნულ იქმნა კრიტის ჟანდარმერიის უფროსად. საბერძნეთის საზღვარზედ არავითარი შეტაკება არ მომხდარა.

დურბანი (სამხრეთ აფრიკა). მოულოდნელად მოვიდა აქ ინგლისის ესკადრა შვიდის გემისაგან შემდგარი. სალამოსათვის კიდევ ორს გემს მოელიან. მიზეზი ამ გემების მოსვლისა არავინ უწყის.

განცხადებანი

ცნობილ ფაბრიკების

როიალები

პიანინო

ფის-გარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.

ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

ახალი პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი
სამუსიკო იარაღებისა
ბ. მ. მირიმანიანისა

Музыкальное депо
Б. М. Мириманяна.
Тифлисъ, Дворцовая ул., д. Грузинс: Дворянства.

გამგეობა ქუთაისის წიგნების გამომცემელ ამხანაგობისა ამით აცხადებს, რომ მის მიერ ახლად დაბეჭდილი

მამია გურიელის (ფაზელის)

ყველა ნაწერები,
ვრცელის ბიოგრაფიით და ფოლადზე ამოჭრილ სურათით
იყიდება შემდეგს აგენტებთან:

1. ქუთაისში: ძმ. ჭილძეების, ბეჟანეიშვილის, ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში და მიტროფანე ლალიძესთან.
2. ხონში—წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
3. სამტრედიაში—კალაძის წიგნის მაღაზიაში.
4. ახალ-სენაკში—თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
5. ძველ სენაკში—სამსონ ყიფიანთან.
6. ფოთში—სოფრონ მგალობლიშვილთან.
7. ბათომში—კ. თავართქილაძის მაღაზიაში და მათე ნიკოლაძის სააგენტოში,
8. სოხუმში—იოსებ კიწმარაშვილთან.
9. ოზურგეთში—კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.
10. ლანჩხუთში—ნიკო კალაძესთან.
11, ზუგდიდში—
12, ქვარიაში— } არაბიძის წიგნის მაღაზიაში.
13, ქუთაისში—კარპე მოდებაძესთან.
14, საჩხერეში—ყარამან ჩხეიძესთან.
15, გორში—არსენ კალანდაძის წიგნის მაღაზიაში.
16, ტფილისში—წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების, ქართველთა ამხანაგობის, იმედაშვილის და ჭელიძის მაღაზიებში.
17, ქვემო-მაჩხაანში—დიმიტრი ნადირაძესთან (მაჩხანელთან).
18, სიღნაღში—ივანე შავლიაშვილთან.
19. თელავში—მ. ცისკარაშვილთან.
20. განჯაში—სოლომონ დოლიძესთან.
21. ბაქოში—გიორგი დეკანოზიშვილთან.
22. კაკაბეთში—ტიტე კახიძესთან.
23. ონში—ნიკო მრევლიშვილთან. (3—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5-го Апрѣля 1897 г. სტამბა მ. შარაძის და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.